№2003 2015 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1590 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1590 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის უცხოურ არხებზე გაშუქებასა და სარეკლამო კამპანიის წარმართვასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები) დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 6 118 301 (ექვსი მილიონ ას თვრამეტი ათას სამას ერთი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**